27/12/2021

მსოფლიო პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესდა

მას შემდეგ, რაც მის ყოვლადუწმინდესობას მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსს კორონავირუსი დაუდასტურდა და მისი საავადმყოფოში გადაყვანის საჭიროება გახდა, პატრიარქის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად დასტაბილურდა.

ბოლო მონაცემებით მის ყოვლადუწმინდესობას არ აღენიშნება კოროანვირუსისათვის დამახასიათებელი სიმპტომები (ყელის ტკივილი, მაღალი ტემპერატურა, ხველება და ა.შ.) და თავს ძალიან კარგად გრძნობს.

მას შემდეგ, რაც შესრულდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული საკარანტინო პერიოდი, მისი ყოვლადუწმინდესობა დატოვებს სამკურნალო კლინიკას და დაუბრუნდება მის მოვალეობებს.

wenews.ge